№2747 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს უფლება ზუგდიდის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის, 71 050 (სამოცდათერთმეტი ათას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლების: კახათ-შამგონას და კოკი-ხურჩას დამაკავშირებელი ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**